

შპს ფაინენშლ ჩეინ კორპორეიშნ

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანია: შპს ფინანსულ ჩეინ კორპორეიშნ

პერიოდი: 2023

ვალუტა: GEL

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	2 022	2 023
<i>მიმდინარე აქტივები:</i>			
ფული და ფულის ექვივალენტები		835702	460846
დებიტორული დავალიანება		2254091	1298587
გაცემული ავანსები		59716	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		17250	24090
სულ მიმდინარე აქტივები		3166759	1783523

<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>			
ძირითადი საშუალებები	6	223951	214522
არამატერიალური აქტივები		1522	2233
სულ გრძელვადიანი აქტივები		225473	216755

სულ აქტივები:		3392232	2000278
----------------------	--	----------------	----------------

<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>			
კრედიტორული დავალიანებები		13837	9425
მიღებული ავანსები		1201170	1180
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		10271	0
საგადასახადო/საპენსიო ვალდებულებები		86061	80378
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1311339	90983

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
---------------------------------------	--	----------	----------

სულ ვალდებულებები :		1311339	90983
----------------------------	--	----------------	--------------

<i>კაპიტალი:</i>			
საწესდებო კაპიტალი		324044	0
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1756849	1909295

სულ კაპიტალი:		2080893	1909295
----------------------	--	----------------	----------------

სულ ვალდებულებები & კაპიტალი:		3392232	2000278
--	--	----------------	----------------

მთავარი ბუღალტერი
ანი პაპიძე

ა. პაპიძე



კომპანია: შპს ფაინენშლ ჩეინ კორპორეიშნ
 პერიოდი: 2023
 ვალუტა: GEL

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	შენიშვნა	2022	2023
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან		15 673 979	10 958 323
გაწეული მომსახურების ხარჯი		(13 945 261)	(9 859 479)
საერთო მოგება		1 728 718	1 098 844
დასაქმებულთა ანაზღაურება		(305 647)	(323 509)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(9 347)	(9 579)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(30 855)	(43 015)
საოპერაციო მოგება		1 382 869	722 741
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები		22 948	40 898
არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	5	(309 612)	1 810
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადამდე		1 096 205	765 449
მოგების გადასახადის ხარჯი			(91 950,0)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1 096 205	673 499

მთავარი ბუღალტერი
 ანი პაპიძე

ს. შავეჩიძე



კომპანია: შპს ფაინანსლ ჩეინ კორპორეიშნ

პერიოდი: 2023

ვალუტა: GEL

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	2022	2023
საწესდებო კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	426 783	324 044
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში	660 644	1756849
სულ საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 087 427	2 080 893
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1 096 205	673 499
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	(521 053)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(102 739)	(324 044)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2 080 893	1 909 295

ა. შაპიძე



შპს ფაინენშლ ჩეინ კორპორეიშნ

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფაინენშლ ჩეინ კორპორეიშნ (ს/ნ 405117706), შემდგომში კომპანია, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟიული მარტავას ქ. N 41ე, საოფისე ფართი N3.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბუღალტრო, საკონსულტაციო და HR მომსახურების გაწევა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანია ნერგავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ახალ და შესწორებულ სტანდარტს საჭიროებისამებრ.

ფასს 16 (იჯარა) ცვლის ბასს 17 იჯარას და მეიჯარისათვის აუქმებს საოპერაციო და ფინანსური იჯარების კლასიფიკაციას. კომპანიის მიერ მიღებული იჯარა არ განიხილება ფინანსურ იჯარად, შესაბამისად საიჯარო ხელშეკრულება არ ხვდება ფასს 16-ის აღრიცხვის ფარგლებში. რადგან მიღებული იჯარები არის მოკლევადიანი, შეზღუდული საქმიანობის სფეროების დაშვებული და ქონების არსებითად გადაკეთება და იჯარით გადაცემის უფლება არ აქვს კომპანიას, იგი არ წარმოადგენს ფასს 16-ით აღრიცხვას და აღირიცხება როგორც მოკლევადიანი იჯარა.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ქართულ ლარში.

3. ნაღდი ფული და ფულადი ექვივალენტები

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას. კომპანიაში არ წარმოებს ოპერაციები ნაღდი ფულით. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2022	2023
ლარი / აშშ დოლარი	2,7020	2,6894
ლარი / ევრო	2,8844	2,9753

4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შრომის ანაზღაურებას, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, საბანკო მომსახურებას, მარკეტინგულ მომსახურებას და სხვა საოფისე და საოპერაციო ხარჯებს.

5. სავალუტო სახსრების გადაფასება

სავალუტო ოპერაციების გადაფასება ხორციელდება ყოველთვიურად საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად:

	2022	2023
არასაოპერაციო შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	112194	104055
არასაოპერაციო ხარჯები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-421806	-102245

6. ამორტიზაცია

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება ექსპულატაციაში შესვლის დღიდან. ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 5 წლით.

ოფისის (შენობის), რომელიც კომპანიამ შეიძინა 2021 წელს, სასარგებლო მომსახურების ვადად აღიარებულია 30 წელი.

7. დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს. შპს ფაინენშლ ჩეინ კორპორეიშნ-მა 2023 წელი დაასრულა მოგებით, ამავე წელს დივიდენდის გატანა განხორციელდა წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან და დაიბეგრა 15%-ით მოგების გადასახადით.

მთავარი ბუღალტერი

ანი პაპიძე

ა. პაპიძე

